

საქართველოს მთავრობის
განკარგულება №2738

2017 წლის 28 დეკემბერი

ქ. თბილისი

სს „ენერგო-პრო ჯორჯიასთვის“ სახელმწიფო ტყის ფონდის სპეციალური დანიშნულებით
სარგებლობის ვადის განსაზღვრისა და საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი მცენარეთა
სახეობების ბუნებრივი გარემოდან ამოღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ტყის კოდექსის 52-ე მუხლის, „საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის 2³ პუნქტის, „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებული წესის 27¹ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. 154 კვ მავის ელექტროგადამცემი ხაზის – „ჭოროხის“ მშენებლობის მიზნით, სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ (ს/კ: 205169066) ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მდებარე, სსიპ – აჭარის სატყეო სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო ტყის ფონდის 318 635 კვ. მ მიწის ფართობით (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები: №22.32.02.927; №22.32.02.926; №22.32.02.923; №22.32.02.924; №22.32.02.921; №22.31.03.827; №22.32.02.925; №22.36.01.203; №22.36.01.201; №22.36.01.202; №22.36.01.204; №22.32.01.999; №22.32.05.003; №22.32.05.001; №22.32.01.065; №22.31.03.829; №22.31.03.825; №22.36.01.206; №22.32.02.920; №22.31.03.823; №22.32.02.922; №22.31.03.826; №22.31.03.824; №22.28.11.115; №22.28.11.119; №22.28.11.117; №22.28.11.116; №22.32.04.002; №22.31.03.828; №22.32.04.001; №22.36.01.205; №22.32.05.002; №22.28.11.118; №22.28.11.121; №22.28.11.120; №22.32.01.998) სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის ვადა განესაზღვროს 2020 წლის 31 დეკემბრამდე.

2. სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიეცეს უფლება, ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრულ ტერიტორიაზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ბუნებრივი გარემოდან ამოიღოს საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი მცენარეების შემდეგი სახეობები:

ა) „ჩვეულებრივი წაბლი“ (*Castanea sativa* Mill.) – 1959 (ათას ცხრაას ორმოცდაცხრამეტი) ინდივიდი;

ბ) „პატარა თელადუმა“ (*Ulmus minor* Mill.) – 19 (ცხრამეტი) ინდივიდი;

გ) „მცირენაყოფიანი ბალამწარა“ (*Cerasus microcarpa* C.A Meyer) – 13 (ცამეტი) ინდივიდი;

დ) „კაკლის ხე“ (*Juglans regia* L) – 8 (რვა) ინდივიდი.

3. სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ ვალდებულია:

ა) სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს (შემდგომში – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი) წინასწარ აცნობოს საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი მცენარეთა სახეობების ბუნებრივი გარემოდან ამოღების დაგეგმილი ვადების შესახებ;

ბ) მოჭრილი მერქნული რესურსი, დაუკოტრავი სახით, სახეობების მიხედვით, დაასაწყობოს სააგენტოს მიერ მითითებულ ტერიტორიაზე და გადასცეს სააგენტოს მიღება-ჩაბარების აქტით.

4. ამ განკარგულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული, საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი მცენარეების ბუნებრივი გარემოდან ამოღებაზე კონტროლი განახორციელოს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი.

